1964/დ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 27 (260) 30 სექტემბერი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება მეორე

469. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. გრიშინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

470. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კალევ კეკონენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

471. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ პ. ს. კოზლანიუკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

### ნაწილი II

#### განყოფილება პირველი

472. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის შექმნის შესახებ.

473. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ი. გუჯეჯიანის საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

9362.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

474. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. დ. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

475. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ძიძიგურისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

476. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 469 ამხ. ვ. ვ. გრიშინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხ. ვიქტორ ვასილის ძე **გრიშინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 სექტემბერი.

№ 2862-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 470 ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კალევ კეკონენის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საქმეში, ურთიერთობისა, რაც მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის სიცხოვლის მკაფიო ნიმუშია, და აქტიური მოღვაწეობისათვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების და მშვიდობის განმტკიცების საქმეში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევ **კეკონენი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 სექტემბერი.

№ 2865-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 471 მწერალ პ. ს. კოზლანიუკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი პეტრე სტეფანეს ძე **კოზლანიუკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 სექტემბერი.

№ 2866-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**472** **საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ბაზაზე საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 23 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**473** **ამხ. ბ. ი. გუჯეჯიანის საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ბორის ივანეს ძე გუჯეჯიანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 23 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**474** **ამხ. ე. დ. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ელენე დავითის ასული **ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 475 ამხ. ა. ვ. ძიძიგურისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. აკაკი ვარლამის ძე ძიძიგურს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 21 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 476 საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში მეღვინეობის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება:

1. გიორგი ნესტორის ძე აბაშიძეს — სამტრესტის ორჯონიკიძის ქარხანათ-სამმართველოს დირექტორს.

2. პავლე ბაგრატის ძე აზარაშვილს — სამტრესტის მოსკოვის ღვინის ქარხნის დირექტორს.

3. ნიკოლოზ ბატეს ძე ანჩაბაძეს — აფხაზეთის ღვინის კომბინატის მთავარ მეღვინეს.

4. მიხეილ სტეფანეს ძე ასათიანს — სამტრესტის საწარმოო განყოფილების მთავარ შამპანისტს.

5. არჩილ სტეფანეს ძე ბერუჩაშვილს — სამტრესტის № 4 ღვინის ქარხნის დირექტორს.

6. ვლადიმერ პავლეს ძე გველესიანს — სამტრესტის საწარმოო განყოფილების მთავარ შამპანისტის მოადგილეს.

7. გიორგი დავითის ძე გიგაშვილს — სამტრესტის მთავარი მეღვინის მოადგილეს.

8. სიმონ ივანეს ძე გოგებაშვილს — პენსიონერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. პეტრე ივანეს ძე **დემეტრაძეს** — სამტრესტის საწარმოო განყოფილების უფროს მეღვინეს.

10. გრიგოლ პლატონის ძე **ზარნაძეს** — სამტრესტის შამპანური ღვინის ქარხნის საამქროს უფროსის მოადგილეს.

11. გიორგი ალექსანდრეს ძე **თუშმალიშვილს** — სამტრესტის მთავარ მეღვინეს.

12. გური დავითის ძე **კანდელაკს** — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის მთავარ მეღვინეს.

13. ფეოდორა პეტრეს ასულ **კილაძეს** — სამტრესტის შამპანური ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

14. გიორგი გიორგის ძე **კურდღელაშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარ მეღვინე სპეციალისტს.

15. ალექსანდრე სიმონის ძე **მაჩაიძეს** — სამტრესტის თბილისის ლიქიორის ქარხნის წარმოების გამგეს.

16. გიორგი ივანეს ძე **მგალობლიშვილს** — პენსიონერს.

17. კონსტანტინე ივანეს ძე **მგალობლიშვილს** — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის უფროს მეღვინეს.

18. შალვა სილოვანის ძე **ორაგველიძეს** — სამტრესტის № 4 ღვინის ქარხნის მთავარ მეღვინეს.

19. ნიკოლოზ მელქისედეკის ძე **ჟღენტს** — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორს.

20. ოლია მიხეილის ასულ **რამაზაშვილს** — სამტრესტის წინანდლის ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

21. შალვა ნიკოლოზის ძე **სარუხანაშვილს** — სამტრესტის შამპანური ღვინის ქარხნის საამქროს უფროსს.

22. ალექსანდრე ლაზარეს ძე **სესიაშვილს** — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ღვინის მრეწველო[illegible] ყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

23. ბიკენტი სიმონის ძე **სირაძეს** — სამტრესტის კარდანახის ღვინის ქარხნის მთავარ მეღვინეს.

24. მიხეილ გიორგის ძე **ქუმსიაშვილს** — სამტრესტის თელიანის ღვინის ქარხნის დირექტორს.

25. ბაბულია გრიგოლის ასულ **ყარამნიშვილს** — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგეს.

26. ემილ ემილის ძე **ჩაფიძეს** — სამტრესტის მმართველის მოადგილეს.

27. ალექსანდრე ივანეს ძე **ჩიგილაშვილს** — სამტრესტის საწარმოო განყოფილების უფროს მეღვინეს.

28. ვახტანგ დავითის ძე **ციციშვილს** — სამტრესტის კონიაკის წარმოების მთავარ ტექნოლოგს.

მთ. 476
ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ვასილ სერაპიონის ძე **ჭირაქაძეს** — სამტრესტის შამპანური ღვინის ქარხნის მთავარ შამპანისტს.

30. ხოსრო ლევანის ძე **ხოსროშვილს** — საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 სექტემბერი.